ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №111

2014 წლის 5 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქ-ტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვროს წინამდებარე დადგენილების დანართი №1 შესაბამისად.
2. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირებს, რომლებსაც ამავდროულად უკა-ვიათ ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა, მიეცეთ "ბ" კატეგორიის შესაბამისი შრომის ანაზღაურება
3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) გაიცეს 2014 წლის 15 სექტემბრიდან.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.
5. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.
6. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი №1.

სსიპ –ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სამეცნიერო თანამდებობის პირის **(„ა“ კატეგორია)** შრომის ანაზღაურება, ვისაც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა), ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში (9:00-დან 18:00 საათამდე) 30 საათიანი სამუშაო კვირა), განისაზღვროს ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

ა) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი-განყოფილების უფროსი
- თვეში 1050 ლარი;
ბ) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - თვეში 1000 ლარი;
გ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - თვეში 800 ლარი;
დ) მეცნიერ-თანამშრომელი - 650 ლარი თვეში.

2. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სამეცნიერო თანამდებობის პირის **(„ბ“ კატეგორია)** შრომის ანაზღაურება, ვისაც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (სხვა დაწესებულებაში ეწევა აკადემიურ ან/და სხვა საქმიანობას) და ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში (9:00-დან 18:00 საათამდე) 20 საათიანი სამუშაო კვირა), განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი-განყოფილების უფროსი
- თვეში 800 ლარი;
ბ) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - თვეში 750 ლარი;
გ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - თვეში 600 ლარი;
დ) მეცნიერ-თანამშრომელი - 500 ლარი თვეში.

3. „ა“ კატეგორიის სამეცნიერო თანამდებობის პირი უფლებამოსილია ბსუ-ში პარა-ლელურად ეკავოს „ბ“ კატეგორიის აკადემიური თანამდებობა ან აქვე ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას 200 საუდიტორიო საათის ფარგლებში.